ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 2

"25" იანვარი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტალის კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტალის კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.016) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის №18.1037.1459 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: "ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტალის კორპუსი N5-ში, ბინა N16-ის ფართით 16 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.016) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნარგიზი უზნაძისთვის (პ/ნ N01005020015) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**